რესპუბლიკელთა კრიზისის მეორე მიზეზი ის არის, რომ „უოტერგეიტის“ საქმის შემდეგ გაძლიერდა პარტიის კონსერვატიული ფრთის გავლენა. რესპუბლიკელებს გმობდნენ იმის გამო, რომ ისინი სულ უფრო ვიწრო კარჩაკეტილ დაჯგუფად იქცევიან, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდ ბიზნესთან. „ყველა მილიონერი რესპუბლიკელი არ არის, მაგრამ მილიონერთა უმრავლესობას თავის თავი რესპუბლიკელად მიაჩნია“ — ამ დიდი ხნის წინათ ნათქვამ ფრაზას იგონებენ ახლა, რათა ხაზი გაუსვან რესპუბლიკური პარტიის შეუთავსებლობას პოლიტიკურ ცვლილებებთან, მის სიახლოვეს მსხვილ კაპიტალთან.

კონსერვატიზმის ვაძლიერებას ტალღა ფრთის აზრით, მან დათმისაცა უფლება პარტიის სათავეში დადგეს. თავიანთი აქტიურობით გამოირჩევიან ტეხასის ყოფილი გუბერნატორის ჯონ კონელის მომხრეებიც, რომელიც 1972 წელს დემოკრატიული პარტიიდან რესპუბლიკელთა ბანაკში გადადგა. პირველი და მეორე ჯგუფიც რესპუბლიკურ პარტიაში კონსერვატიული ფრთის ნაირსახეობაა.

მესამე დაჯგუფებად შეიძლება „ზომიერნი“ მივიჩნიოთ, რომლებიც ზოგჯერ თავიანთ თავს „ლიბერალებს“ უწოდებენ. მათი მთავარი მიზანია არ დაუშვან, რომ კონსერვატორებმა კონტროლი დაუწესონ პარტიას, რის შედეგადაც მათ (ზომიერებს) კიდევ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

მეგობრობის გამოფენა

ᲑᲣᲨᲘᲜ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე საზეიმო განწყობილება სუფევდა — გაიხსნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი იუბილეს გამო საბჭოთა კავშირში ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეებს მიეძღვნა და მოაწყვეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკური პროგრესისა და უმაღლესი განათლების საქმეთა კომიტეტმა, ეროვნულმა მუდმივმოქმედმა გამოფენამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკას ‘ალმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ.

გაიმართა გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. გვერდწითელმა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკური პროგრესისა და უმაღლესი განათლების საქმეთა კომიტეტის პირველმა მოადგილემ, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მთავარმა სწავლულმა მდივანმა ლ. ილიაზკოვმა მადლობა გადუახადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ხელმძღვანელობას ბულგარეთის ტერიტორიაზე ელინ საბჭოთა კავშირში დიმიტრ ბულგარეთ. ბულგარელი ხალხის სახელით იგი გულთბილად მიესალმა შეკრებილთ და ყოველივე საუკეთესო უსურვა რესპუბლიკის მწრომელებს. დ. ბულგეზმა ილაპარაკა საბჭოთა და ბულგარელი ხალხების მტკიცე მეგობრობაზე და გამოთქვა რწმენა, რომ გამოფენა იქნება ყველა სფეროში ორი ხალხის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი ღონისძიება. მან გამოფენა გახსნილად გამოაცხადა.

ერცელ პავილიონში წარმოდგენილი ექსპონატები მკაფიოდ და თვალნათლივ გვაცნობს ბულგარეთის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. გამოფენა სამი ნაწილისაგან შედგება — მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და უნიკალური აპარატურა; ახალი ნედლეულები, ნაკეთობანი და მასალები.

გამოფენა დაათვალიერეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. კიკნაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლთა განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ჯიორხელიძემ, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თ. გორდელაძემ და სხვებმა.

ახსნა-განმარტებას იძლეოდა ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის გამოფენის დირექტორი თბილისში მ. მორაროვი.

საღამოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა „ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეებისადმი“ მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრებაზე, რომელიც ი. გვერდწითელმა გახსნა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ლ. ილიაზკოვმა. სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ხაზოვადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა-მდივანმა ნ. ლანდიამ, კინორეჟისორმა ნელი ნენოვამ, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა სახელით — ა. შატბერაშვილმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. გამოფენა თბილისში 27 მაისამდე გასტანს.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქვემოთ — გამოფენის ერთ-ერთი დარბაზი; ზემოთ — ბულგარეთის ფართო მოხმარების საქონლის სტენდი.

ს. კილაძის ფოტო.



ᲜᲐᲢᲝᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ

ᲨᲕᲘᲪᲐ მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოთა ეკონომიკურ პრობლემებს შეხვედრის შემდეგ, რომელზეც განიხილეს უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური პრობლემები ლონდონში გაიმართა სამხედრო თათბირი — ნატოს საბჭოს სხვა. მასში მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრი 15 ქვეყნის წარმომადგენლებმა.

თუ შეავადარებთ დისკუსიების თემატიკას ორივე თათბირზე, თვალში მოგვეჭვდება ამკარა პარადოქსი, რომელიც ასახავს წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეების პოლიტიკის ღრმა წინააღმდეგობებს. იხვლისური „მორნინგ სტარი“, რომელმაც აღნიშნა ეს პარადოქსი, წერდა: „შაბათსა და კვირას კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე გავლენიანი ლიდერები ერთსულოვნად მოითხოვდნენ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკის გამოცოცხლებას, სამშაბათსა და ოთხშაბათს კი ისინი ძალს უმკრდნენ ეკონომიკის სტაბილური ზრდის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლების შენარჩუნებას — უზომო სახსრების განიავებას სამხედრო ხარჯებისათვის“.

იმ ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატების წარმომადგენლნი, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში, ძლიერ ზეგავლენას ახდენენ თავიანთ უმცროს პარტნიორებზე, რათა აიძულებინათ ისინი ახალი ეკონომიკური მსხვერპლი გაიღონ ნატოს სამხედრო პოტენციალის გადიდებისათვის. მეთოდი, რომელსაც ამ შემთხვევაში მიმართავდნენ, ახალი როდია. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი, ისე ზოგიერთი სხვა დასავლელი ლიდერი უსაფუძვლოდ ამტკიცებდნენ, რომ ნატოს, დასავლეთ ევროპას თითქოს სულ უფრო „მზარდი საბჭოთა სამხედრო საფრთხე“ ემუქრებოდეს. იმოწმებდნენ რა ამ მითიურ „საფრთხეს“, ისინი მოუწოდებდნენ, რომ „ჭანმტკიცონ თავდაცვითი საწარმოო ბაზა ევროპაში“, შექმნან ახალი სახეობის საბრძოლო ტექნიკა.

მაგრამ, როგორც დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, ამგვარმა მოწოდებებმა ვერ გამოიწვიეს ენთუზიაზმი მთელი რიგი პატარა ქვეყნების წარმომადგენლებში. მაგალითად, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ო. ნურლიმ მხარი დაუჭირა გამანეული შეიარაღების შეკავებას. ასეთივე აზრი გამოთქვეს დანიის მთავრობის მეთაურმა ა. იორგენსენმა და სხვისის მთელმა რიგმა სხვა მონაწილეებმა.

ყველა ამ წინააღმდეგობამ — ნატოს სამხედრო პოტენციალის გაძლიერების მოთხოვნებსა და ბლოკის მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის მდგომარეობას შორის, უფრო და უმეტეს პარტნიორთა ინტერესებს შორის და, ბოლოს, მთავარმა წინააღმდეგობამ — ბლოკის აგრესიულ მიზნებსა და ყველა ხალხის, მათ შორის ნატოს ქვეყნების ხალხების, მშვიდობისადმი მისწრაფებას შორის — თავისი გამოხატულება პოვა სესიის საბოლოო კომუნიკეში. იგი შეიცავს ზოგრიგ აგრესიულ მოწოდებებს, ისე განცხადებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ. მაგრამ კომუნიკე ხომ მაინც მხოლოდ სტატეგია, დეკლარაციაა. პრაქტიკულად კი ნატოს საქმიანობა, როგორც მისი საბჭოს ახლანდელმა ლონდონის სესიამაც დაგვანახვა, უწინდებურად ვითარდება ერთი მიმართულებით — ინტენსიური სამხედრო მზადების მიმართულებით, რაც, ეჭვი არ არის, საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

(საკლესი).

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲠᲝᲛᲘ, (საკლესი). იტალიაში არ წყდება ექსტრემისტული ძალების პროვოკაციული გამოხდომები. ხარგებლობენ რა ქვეყნის რთული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, სხვადასხვა პროვოკაციული დაჯგუფებები ცდილობენ ქვეყანაში შექმნან დაძაბულობისა და ძალმომრეობის ვითარება ამ დროს, როცა ქვეყნის პოლიტიკური პარტიები აწარმოებენ მოლაპარაკებას კრიზისთან ბრძოლის ერთობლივი პლატფორმის შემუშავების შესახებ. იხილავენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს.

მილანში პოლიციელი მოკლეს. იტალიის ამავე სამრეწველო ცენტრში ტრომბარცხენად გაწყობილ ექსტრემისტთა ჯგუფმა სცადა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა სტუდენტთა მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელიც ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა. მოსწყვლე ახალგაზრდობა გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, რათა განეცხადებინა პროტესტი ქვეყანაში ძალმომრეობის ზრდისა და ამას წინათ რომში 19 წლის მოსწავლის ჯორჯანა მაზის მოკვლის წინააღმდეგ.

ნეაპოლში ექსტრემისტთა ჯგუფმა შეიარაღებული პროვოკაციები მოაწყო. როცა პოლიციამ მათი გარეკვა სცადა, ექსტრემისტებმა სროლა დაუწყეს და პოლიციელებს აალებდი ნივთიერებით სავსე ბოთლები დაუშინეს.

ფუნესტრო

მუსიკის მომხიბლავი საუკარო

ხურათებზე: გამოდიან საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი, დიდი აკადემიური გუნდი და ანსამბლი „რუსთავი“; დირიჟორი რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ფედოსეევი; სოლისტი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე.

ბ. კავკასიძის ფოტო

რამდენიმე დღეა საქართველოს დედაქალაქში მიმდინარეობს ხელოვნების . ფესტივალი, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმია მიძღვნილი. თბილისის საკონცერტო დარბაზებში ჩვენი მსმენელები ეცნობიან მოძმე საბჭოთა ხალხების ხელოვნების სახელგანთქმული წარმომადგენლების, კოლექტივებისა და ცალკეული შემსრულებლების ხელოვნებას. ფესტივალის რამდენიმე საღამო დაეთმო საყოველთაოდ აღიარებული მუსიკალური კოლექტივების — საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრისა (დირიჟორი რსფსრ სახალხო არტისტი ვლადიმერ ფედოსეევი) და აკადემიური დიდი გუნდის (მხატვრული ხელმძღვანელი სსრკ სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალ. ბეგიანი) გამოსვლებს..

სიმფონიურმა ორკესტრმა თავისი გამოსვლები რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის მ. გლინკას უვერტიურითა (რეფერორი) და ვალს-ფანტაზიით დაიწყო. თავდაჯერილი, ნატიფი გუმოვნებით ამეტყველებულია გლინკასეულმა შედეგრებმა მოხიბლა მსმენელები. იმავე საღამოს შესრულდა ჩვენი დროის დიდი კომპოზიტორის დ. შოსტაკოვიჩის სიმფონია № 1, რომელი და მრავალფეროვანი პარტიტური აღსავსე ძლიერი კონტრასტული დაპირისპირებებითა და ღრმა დრამატული განვითარებით. ორკესტრი თავისუფლად, დუძაბავად ართმევს თავს ყოველგვარ ტექნიკურ სირთულეებს. აქ მაღალპროფესიულ მუსიკალურ კოლექტივს ნებისმიერი სიმძმრულეები სიძნელეების გადალახვა შეუძლია. დირიჟორისა და ორკესტრის შემოქმედებითი ჩანაფიქრი ლოგიკურობითა და მხატვრული სახის განსახიერების დიდი შთამბეჭდაობით გამოირჩევა.

იმავე საღამოს მეორე განყოფილებაში ორკესტრმა და გუნდმა „ვოკალურ ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად (მხატვრული ხელმძღვანელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ანზორ ერქომაიშვილი), სოლისტებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზურაბ ანჯაფარიძემ და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ამირან თავქარაიშვილმა შეასრულეს ოთარ თაქთაქიშვილის მონუმენტალური ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ქართველი კომპოზიტორის ეს ნაწარმოები უკვე ადრე ბანია მტკიცედ დამკვიდრდა საკონცერტო ესტრადაზე და საერთო აღიარება მოიპოვა. მისმა ახალმა ავლერებამ კიდევ ერთხელ მოგვიტანა დიდი ესთეტიკური სიამოვნება.

კვირას, 15 მაისს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა საგუნდო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიური დიდი გუნდი და სოლისტები ლ. ბელობრაგინა, ე. ვლადიმიროვი, ლ. ალემჩენკოვა, ა. კოლესნიკოვა, ვ. სმოლიანიცკი, ა. სემეონოვი და საქართველოს სსრ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონტრაბასისტების ჯგუფი.

პირველად შესრულდა ჩვენს ქალაქში რუსული საგუნდო მუსიკალური კულტურის გამორჩენილი მოღვაწისა და კომპოზიტორის ა. კასტალსკის [illegible] „ძმათა მოსაგონარი“ გუნდის, სოლისტების და ორკესტრისთვის. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა კონცერტის მეორე განყოფილებას, როდესაც ჩვენმა სტუმრებმა აშვიათი ოსტატობით წარმოგვიდგინეს დავით თორაძის ახალი ნაწარმოები „ქართული ჩანამღერები“ — 7 პოემა შეერეული გუნდის, ჰობოისა და კონტრაბასებისათვის გ. ტაბიძის ლექსებზე. ეს ნაწარმოები პირველად მოსკოვში შესრულდა და ჩვენი მსმენელებისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. ერთი მოსმენით როულია ამ საინტერესო ნაწარმოების დეტალური გარჩევა, ის კი უდავოა, რომ დ. თორაძის ეს ქმნილება, რომელიც აღფრთოვანებით მიიღო ჩვენმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ, მაღალი შეფასების ღირსია და ყველა ობიექტურ საფუძველს ქმნის გამოვთქვათ ღრმა რწმენა, რომ მალე იგი საყოველთაო აღიარებას მოიპოვებს.

ხიმონ ციანაძე,
მუსიკათმცოდნე.

ხურათებზე: ზემოდან—ა. ფოჩხუას ალბომის გარეკანი და ნამუშევრები — „სულხან-ხაბა“, „ტატო“, „ტარიელის ბრძოლა ვეფხვთან“.

სულჩადგმული, ამღერებული ბზა

ქუთაისში გახსნილია არსენ ფოჩხუას ნამუშევართა გამოფენა „კვეთილობა ბზაზე“

ხის მხატვრული დამუშავება და ხეზე კვეთილობა საქართველოში ანტიკური ხანადანვე იყო ცნობილი, ხოლო განსაკუთრებულ განვითარებასა და სრულყოფას მან X-XII საუკუნეებში მიაღწია. მაგრამ გავიდა ხანა, ხელოვნების ეს ჟანრი დაქვეითდა და დავიწყებას მიეცა...

სასიამოვნოა, რომ ჩვენს დღეებში ხეზე კვეთილობა კვლავ აღორძინდა და ახალი სიცოცხლე შეიძინა. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც დიდად შეუწყო ხელი ხელოვნების ამ მომზადებელი ჟანრის ხელმეორედ დაბადებას და წინსვლა-განვითარებას, არის მუსიკოსი და მხატვარი არსენ ფოჩხუა, რომლის სახელი ახლა უკვე ფართოდ ცნობილი შინაც და გარეთაც.

ამ ორიგინალური ჟანრის დახვეწილი ოსტატის შემოქმედებას ამ დღეებში დიდი ინტერესით ეცნობა ქ. ქუთაისის საზოგადოებრიობა. აქ სახვითი ხელოვნების გალერეაში გახსნილია არსენ ფოჩხუას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა „კვეთილობა ბზაზე“, სადაც 140-ზე მეტი ექსპონატია წარმოდგენილი.

გამოფენა გახსნა და მხატვრის შემოქმედებაზე ლაპარაკი ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ა. ბარათაშვილმა. ვერნისაჟზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ვ. მიზანდარი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. პირველი, ალერეის დირექტორი ა. ჩოგოვაძე. მადლობის სიტყვა წარმოთქვა ა. ფოჩხუამ.

შარშან გამომცემლობა „ხელოვნებამ“ 20-ათასიანი ტირაჟით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდა არსენ ფოჩხუას ნამუშევართა რეპროდუქციების ალბომი „კვეთილობა ბზაზე“ (სახოგადოებრივი რედაქტორი ო. ეგაძე), რომელსაც I ხარისხის დიპლომი მიენიჭა რესპუბლიკურ კონკურსზე — „1976 წლის საუკეთესო წიგნი“.

ალბომს უძღვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის **ლადო გუდიაშვილის** შესავალი წერილი,

— „მე კარგად ვიცნობ არსენ ფოჩხუას ნამუშევრებს, განსაკუთრებულ აღნიშვნის ღირსია მისი ალეგორიული კომპოზიციები. — წერს ლ. გუდიაშვილი. — მან წარმატებით შეუხამა დაზგური ფერწერის მხატვრული ამოცანები პლასტიკური ხელოვნების განმოსახველობით ნაშუალებებს. რა თემაზედაც არ უნდა მუშაობდეს იგი, მისი ყოველი ნამუშევარი ეროვნული კოლორიტით სუნთქავს. ა. ფოჩხუას ცხოვრების რომანტიკული მხარე იზიდავს, სადაც კეთილი აუცილებლად იმარჯვებს ბოროტზე. ამასთანავე, ხოცარი ძალით იგრძნობა მის ქმნილებებში პოეტურობა და მუსიკალობა. არსენ ფოჩხუამ შეძლო საკუთარი მხატვრული ინდივიდუალობის ჩამოყალიბება. გმირის ხასიათის ნვდომა, ღრმა ფსიქოლოგიზმი, ჰუმანური, კეთილშობილური იდეალები, მხატვრული გემოვნება და გამომგონებლობა, თავისი საქმის დიდი სიყვარული, მტკიცე ნებისყოფა, პრინციპულობა და, განსაკუთრებით, თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა — აი, ამ თვისებებმა აიყვანა არსენ ფოჩხუა პროფესიულ დოსტატებამდე“.









განიხილავენ თარგმანის პრობლემებს

ლიტერატორები მრგვალ მაგიდასთან

ქართველი და აფხაზი მწერლების ლიტერატურული ურთიერთობა სულ უფრო მტკიცდება და მრავალფეროვანი ხდება. ამ საქმეში სერიოზულ მუშაობას ეწევა საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზური ლიტერატურის საბჭოს და მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგია. ამ თვენახევრის წინათ კოლეგიამ თბილისში მოაწყო საუბარი „მრგვალი მაგიდა“ — „აფხაზური ლიტერატურა ქართულად“.

ამ დღეებში სოხუმს ეწვივნენ ცნობილი ქართველი მწერლები და მთარგმნელები, მოეწყო „მრგვალი მაგიდა“, რომელიც ამჯერად ქართული ლიტერატურის აფხაზურად თარგმნის საკითხებს ეხებოდა.

საუბარი შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ივ. თარბამ.

პოემა ბ. გურგულიამ განიხილა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და ირ. აბაშიძის ლექსების ციკლის — „პალესტინა, პალესტინას“ ლასურიასეული თარგმანები. მხატვრული თარგმანის ზოგიერთ საკითხზე ილაპარაკეს კრიტიკოსმა და მთარგმნელმა რ. თვარაძემ, მწერალმა ნ. კიწინიამ, პოეტმა ალ. ბებიამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მიჩბამ, პოეტმა და კრიტიკოსმა გლ. ჭეინარიამ, მწერალმა რ. ჯაფარიძემ, კრიტიკოსმა ს. ზუხბამ, პოეტმა და მთარგმნელმა მ. ლომურიამ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გ. ჟორჟოლიანმა, პოეტმა ბ. გუბანიამ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, კრიტიკოსმა ხ. ბღაჟბამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის კათედრის გამგემ ო. ბაქანიძემ, მწერალმა ჯ. ახუბამ.

„მრგვალი მაგიდის“ მუშაობა შეაჯამა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ო. ნოდიამ.

„მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მარშანია, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გლ. ავიძბა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ნ. დუმბაძე.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

შვილი ჯარში მსახურობს

საპალდებულო სამხედრო სამსახური საბჭოთა ახალგაზრდების დიდი სკოლაა. აქ ხდება მათი თვისებების დახვეწა, გაკაჟება და დავაჟკაცება. ასეთი სამსახური ადვილი არ არის, სამაგიეროდ, მეტად საპატიო და საამაყოა, მით უმეტეს, თუ ჯარისკაცი სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია, თუ ის ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული დამცველი.

სამაგალითო ჯარისკაცებზე მოგვითხრობს გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტის მრავალი წერილი. აი ზოგი მათგანი.

ქარგი შვილი

ქასპი. თამარ და გიორგი ბასიშვილებს

გაცნობებთ, რომ თქვენი შვილი მერაბ გიორგის-ძე ბასიშვილი თავის მოვალეობას პატიოსნად დღიდანვე კეთილსინდისიერად ასრულებს. მერაბი ნაწილის პირადი შემადგენლობის მაგალითის მაჩვენებელია, სამხედრო ფიცის მოთხოვნების, წესდების და დისციპლინის სანიმუშო დამცველია. მეთაურის ყველა დავალებას კეთილსინდისიერად, ენერგიულად ასრულებს და ჩვენს ნაწილში საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია.

გულითად მადლობას გიხდით, ქარგი შვილის — ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგული დამცველის აღზრდისათვის. გვჯერა, რომ იგი ძალაც სამაგალითო ჯარისკაცი იქნება.

ი. კრასნოპოლსკი — სამხედრო ნაწილის მეთაური.



ხურათებზე: მერაბ ბასიშვილი (მარცხნივ) და ზურაბ მერაბიშვილი.

ამაგის დამფასებელი

თბილისი, ევგენია და კარლო მერაგიშვილებს

ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმ მშობლიური ზრუნვისათვის, რომელიც თქვენი შვილის, ჩვენი ძმეფიმოსილი სამშობლოს ერთგული დამცველის — ზურაბის აღზრდას მოანმარეთ. სიხარულით გატყობინებთ, რომ სამხედრო მოვალეობის შესრულებაში თქვენი შვილი სამაგალითოა.

საბჭოთა არმიის ფრიადოსანი, რიგითი ზურაბ კარლოს-ძე მერაბიშვილი თავისი ნაწილის და ქვეგანაყოფის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეა, უფროსებსა და მეგობრებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ზურაბი აქტიურად ჩაება და გადდებული ვალდებულებები იკისრა.

გისურვებთ წარმატებებს შრომაში და პირად ცხოვრებაში.

ო. დუნდუკოვი — სამხედრო ნაწილის მეთაური,
გ. მირონენკო — მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

ჟიდკობა

ათგზის ჩემპიონები

- საბჭოთა ნაკრების ბამბარჯვება
- ქართველ ქიუდოისტთა „ოქრო“
- ზ. ჩოგოშვილს — ბრინჯაოს medali

შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მოჭიდავეებმა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ლუდვიგსჰაფენში გაძართულ ევროპის პირველობაზე ძიუ-დოში. ჩვენი ბიჭები ნაკრებმა 4:3 საფრანგეთის გუნდს სძლია, კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა მეამთოდ! მეორე ადგილზეა საფრანგეთის ნაკრები, მესამეზე — გდრ-ისა და რუმინეთის გუნდები.

აღსანიშნავია, რომ 7 წონაში კატეგორიებიდან ჩვენს გუნდში 4 ქართველი შელამპარი გამოდიოდა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, ევროპის ორგზის ჩემპიონი და წლევანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორი ჯაბაზლი ნიპარაძე (მძიმე წონა), ევროპის შარშანდელი ჩემპიონი თ

ეშერ ხუბელური (ქვემძიმე), ქვეყნის მრავალგზის პრიზიორები დილარ ხაბულიანი (ქვესაშუალო) და ამირან ობგაიძე (ჩიატე წონა). ყველა გამუბანს ვ. პუჩკოველთან, ა. ვოლოსოვთან და ვ. ნიკზორეთან ერთად გუნდური ბრძოლაჯვრისათვის ოქროს medali გადაეცათ.

მათ გარდა ლიუდვიგსჰაფენში გამოდიოდა კიდევ 3 ქართველი მოჭიდავე — ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა ჩოჩიშვილი (მან აბსოლუტურ კატეგორიაში ბრინჯაოს medali მოიპოვა ბელგიელ რობერ ვან დერ ვალეულთან ერთად, ჩემპიონი კი ფრანგი ანელეო პარიზი გახდა), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი რამაზ ხარშილაძე (ქვემძიმე წონა) და ქვეყნის ჩემპიონი ოლეგ ზურაბიანი (ჩიატე).

საბჭოთა ნაკრებმა, კერძოდ, ქართველ მოჭიდავეთა წარმატებამდე დიდი წვლილი მიუძღვით მათ მწვრთნელებს — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებს ბიძინა ბაზიაშვილს, გიორგი პაპიაშვილს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებს ანზორ მარტყოფლიშვილს და ჯემალ ნათელაშვილს.

„ლუდვიგსჰაფენის ტატამზე საბჭოთა მოჭიდავეებმა გუნდური „ოქროს“ გარდა მოიპოვეს კიდევ 3 ოქროს (შეჯიბრების ბოლო დღეს 60 კგ წონიანს კატეგორიაში გაიმარჯვა ვოლგოგრადელმა ვლადენ პოგორელოვმა), ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს medali.

რეგბი

ორი მოგება

ქართველმა რეგბისტებმა კვირას საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი გამართეს. თბილისის „ლოკომოტივმა“ თავის მოედანზე ანგარიშით 6:4 დამარცხა სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი მოსკოვის „ფილი“, ხოლო თბილისის „ელვამ“ ნალჩიკში მოუგო ადგილობრივ „უნივერსიტეტს“ — 10:4.

ხელბურთი

ბოლო აკორდი

თბილისის სპორტის სასახლეში კვირას დამთავრდა ვაჟთა მე-16 საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური ხელბურთში.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილებისა ბედი უკვე გადწყვეტილი იყო, უკანასკნელი დღის ეხვედრები ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ ხარამართა.

პირველად მოედანზე გამოვიდნენ ვერცხლის პრიზიორი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის და ზაპოროჟიეს ინფუსტრიული ინსტიტუტის გუნდები. პირველი ნახევარი მოსკოველებმა მოიგეს 3 ბურთის სხვაობით — 17:14, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 32:32.

ფიტად პრინციპული გამოდგა წლევანდელი ჩემპიონის ცსკა-ს და მოსკოვის „კუნცევოს“ მატჩი. უპირატესობა იმიერელთა მხარეზე იყო, რომელებაც გაიმარჯვეს ანგარიშით 31:25 (15:13).

თბილისის „პორეკეესტნიკი“ „კუნასის“ „გრანიტასთან“ შეხვედრაში ერთი ბურთის სხვაობით დამარცხდა — 22:23 (11:13).

ასპარეზის შემდეგ საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცათ სპეციალური ჯილდოები: საუკეთესო მეკარისა — ნ. ტომიოს (ცსკა), საუკეთესო მოთამაშისა — გ. ნარიმანიძეს („ბურევესტნიკი“), საუკეთესო გამთამაშებლისა — ა. დარაჩიოვს (ცსკა), საუკეთესო გარემარბისა — ა. ტაბიძეს („ბურევესტნიკი“), საუკეთესო ბომბარდირისა — ა. ანპილოგოვს („ბურევესტნიკი“), რომელმაც 53 ბურთი გაიტანა.

თ. მარიამიძე.

ჭადრაკი

ა. კარპოვის ნმოგება

ლას-პალმასში (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირის მეექვსე ტურიდან მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი ზედიზედ ხვდება დიდოსტატებს. ამ შეჯიდრების გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება პირველი ადგილისათვის ბრძოლაში.

მეექვსე ტურში კარპოვმა თეორიებით სძლია დიდოსტატ მაილსს (ინგლისი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა — საერთაშორისო ოსტატ ბელონს (ესპანეთი). ყაიმზე შეთანხმდნენ დიდოსტატები ბრაუნი (აშშ) და ლარსენი (დანია).

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ბრწყინვალე შედეგით — 6 ქულით — ელავენდენურად პირველი ადგილზეა კარპოვი. მომდევნო ტურში იგი შავებით ეთამაშება ახალგაზრდა დიდოსტატ ტომასს (პოლანდია), 4,5 ქულით მეორე ადგილზე გადინაცვლა ტალმა.

ლიდერია ზ. სტურუა

ქუთაისში მიმდინარეობს საქართველოს პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის.

ბრძოლა პირველივე ტურიდან მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. უკვე 7 ტური გათამაშდა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთ მონაწილეს არ განუცდია დამარცხება — თბილისელ ოსტატობის კანდიდატს დ. გადეანიშვილს.

ტურნირის ერთპიროვნული ლიდერია ზ. სტურუა, რომელსაც 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, დ. გადეანიშვილმა 4,5 ქულა მოაგროვა. მ. არჩვაძე (სამტრედია), ვ. ვეფხვიშვილმა და ს. ლომუტიანმა (ორივე — თბილისი) 4-4 (1) ქულა.

ტურნირი 30 მაისამდე გაგრძელდება.

რ. თავარიანი.
ტურნირის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ფეხბურთი

ჩვენი სტუმარი „უიკეუტ დოჭა“

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ უნგრელი ფეხბურთელები

როდესაც უნგრეთის ფეხბურთის ამ უძველეს (იგი 1885 წელს დაარსდა) და სახელგანთქმულ კლუბზე ლაპარაკობენ, პირველ რიგში იხსენებენ ტყავის ბურთის შესანიშნავი ოსტატების სუსას, ბენეს, გიორეჩის, ა. დუნაის, ფაზეკაშის, მ. ტოტის სახელებს.

„უიკეუტ დოჭას“ კლუბი უნგრეთის დედაქალაქის უიკეუტის რაიონში „მდებარეობს, იგი XVI საუკუნის გლეხთა აჯანყების ბელადის დოჭას სახელობისაა, როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ამ გუნდმა. (მაშინ მას „დოჭას სახელობის კლუბი“ ეწოდებოდა) ერთხელ უკვე ითამაშა თბილისში — 1953 წლის 22 ოქტომბერს, როდესაც მოუგო ჩვენს „დინამოს“ ან გარიმით 3:2. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს გუნდის კაპიტანმა ა. ლოდობერიმემ და ზ. კალოევმა.

ხურათზე: საქართველოს ახალი ჩემპიონი წყალში ხტომაში—თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ლიანა ცოტაძე (მარცხნივ) და შეჯიბრების მეორე პრიზიორი — 56-ე ხკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ხერგო შალიბაშვილი.

ნ. ხოშტარიას ფოტო

„უიკეუტ დოჭა“, ქალაქის [illegible] ჩემპიონი და თასის მფლობელია, ბევრჯერ გამოსულა ევროპის დიდ საკლუბო ტურნირებში, ხოლო 1969 წელს ბაზრობათა თასის (ახლანდელი უეფა-ს თასი) მე-11 გათამაშების ფინალისტიც იყო. გადამწყვეტ ასპარეზობა „დოჭამ“ მაშინ წაგო ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედთან“ — 0:3 და 2:3. უნგრეთის ამ კლუბს რამდენიმე წლის განმავლობაში სათავეში ედგა ქალაქის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი, საპელგანთქმული ლაბოშ ბაროტი.

„უიკეუტ დოჭა“, რომელიც ამჟამად უნგრეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, ბევრ ბიპლისში ჩამოფრინდა. გუშინვე უნგრელმა ფეხბურთელებმა ვარჯიში გამართეს თბილისს. ბ. ა. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე, რომელზეც დღეს, თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ, კვლავ ასპარეზობენ ფასპინძლებთან — თბილისის „დინამოსთან“.

პირველ ლიგაში

გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მოროგი მატჩები ფეხბურთში.

ქუთაისის „ტორპედომ“ მინსკში წაგო ადგილობრივ „დინამოსთან“ — 0:2.

მოსკოვის „სპარტაკისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ მატჩი, რომელიც დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

ტანვარჯიში

მეგროპის ჩემპიონატი

პრაღა, 16 მაისი. (საკუთარი). ტანვარჯიშში ევროპის ქალთა ჩემპიონატის მეორე დასკვნითი დღეს, როცა გათამაშეს პირველობა ცალკეულ სახეობებში, ხაბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა ხუთი ოქროს medali მოიპოვეს. აქედან სამი მიიღო 16 წლის მოსკოველმა მოსწავლემ, შეჯიბრების დებიუტანტმა ელენე მუხინამ, რომელმაც პირველი ადგილები გაიყო თავისუფალ ვარჯიშში (ლენინგრად-კუზნეცკელ მარიამ ფილატოვასთან) და ორძალზე (რუმინელ ნადია კომანეჩისთან), ავრეთვე ჩინებულად გამოვიდა დვირზე. ჩემპიენტელმა ნელი ქიმმა ყველაზე უკეთ შეასრულა ბერენით ხტომა.

მას შემდეგ რაც სპორტსმენები გამოვიდნენ დვირზე, სადაც ნადია კომანეჩის კომბინაციამ უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო, რეკორმენეთის გუნდის ხელმძღვანელმა, რომელიც უკმაყოფილი იყო არბიტრების გადაწყვეტილებით წინანდელ სახეობებში, წაიყვანა თავისი სპორტსმენები დარბაზიდან. ისინი არ გამოსულან პრიზიორთა დაჯილდოებისას დვირზე ვარჯიშობისათვის, ხოლო შემდეგ არ მიუღიათ მონაწილეობა პირველობაზე უკანასკნელ სახეობაში — თავისუფალ ვარჯიშში.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად ოქროს medali დვირზე ვარჯიშისათვის გადაეცა ელენე მუხინას, როგორც სპორტსმენს, რომელსაც მეორე შედეგი აქვნდა.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ახალი ნომერი

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ამინდი

გუშინ 13 საათზე ყველგან მშრალი ამინდი იდგა, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 25-27, მთებში 19-22 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 28 გრადუსი გარდაბანში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 22-27, მთებში 18-20 გრადუსი იყო.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 26 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უმეტესად მშრალი ამინდი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 24-29, მთებში 19-24 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, ზოგან დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 23-28, მთებში 16-21 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი.

ტელევიზია

17 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — მეცხრეკლასელთათვის — გეომეტრია, 11.00 — „ივანანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის. განმეორებით, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.45 — „ადამიანი — საზრუნავი უპირველესი“ — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, „შენ, მე და ჯანმრთელობა“ (ქართულ ენაზე), 17.55 — განცხადებები, 18.00 — შეკვნელოთ ინგლისური ენა, 18.30 — კინონარკვევი — „სახლი არყის ხეებში“, 18.40 — „მეცნიერება — სასაღსო მეურნეობას“, 19.00 — კონცერტი, 19.30 — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის — საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „ბალტიკის დეპუტატი“, 21.00 — კინონარკვევი, 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — კინოჟურნალი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული მიმოხილვა, დასასრული — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.00 — მეათეკლასელთათვის — ფიზიკა, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩექმები“, 19.05 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 19.50 — განცხადებები, 19.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „ზღვასთან, სადაც ვთამაშობდით“, 20.25 — მხატვრული ფილმი „პირად საკითხზე მიღების დღე“.

ოქტომბერი

18 მაისი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — „ამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — თ. ჯაიანი. მსუბუქი საორკესტრო პიესები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ჯ. დებიუსი. ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“, საუბარი „ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — კონცერტი. ლ. იამვილის ნაწარმოებები, 18.10 — ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტეს“. ნაწყვეტები, 19.00 — ს. ნარიმანიძე „ბალი მიწისა“ ნარკვევი, 19.20 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.30 — შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მსოფლიოს პირველობაზე: სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები, შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „როცა ახალგაზრდა გზას ირჩევს“... 21.30 — საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდისა და კამერული ორკესტრის პირველი კონცერტი, 23.30 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები.

ოქტომბერი

17 მაისი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — უარამანს ქალი მოკუაკვს.

**საქართველოს სსრ კულტურის ს